სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

დადგენილება №30

2011 წლის 27 მაისი

ქ. სენაკი

სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საჯარო მოსამსახურეთა თანამდებობრივი სარგოს განაკვეთების განსაზღვრის თაობაზე

„ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის „ი“ ქვეპუნქტისა და 44-ე მუხლის მეორე პუნქტის, „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის 25-ე მუხლის და „ავტონომიური რესპუბლიკების ხელისუფლებისა და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების საჯარო მოსამსახურეთა შრომის ანაზღაურების მოწესრიგების თაობაზე“ საქართველოს პრეზიდენტის 2005 წლის 29 აგვისტოს №726 ბრძანებულების შესაბამისად

სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულო ა დ გ ე ნ ს:

1. დამტკიცდეს სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საჯარო მოსამსახურეთა თანამდებობათა დასახელებები და თანამდებობრივი სარგოები დანართი №1-ის შესაბამისად.

2. ამ დადგენილების ძალაში შესვლის დღიდან ძალადაკარგულად გამოცხადდეს „სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საჯარო მოსამსახურეთა თანამდებობათა დასახელებისა და თანამდებობრივი სარგოების დამტკიცების თაობაზე“ სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2009 წლის 26 იანვრის №3 დადგენილება.

3. დადგენილება ძალაშია „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონით დადგენილი წესით გამოქვეყნებისთანავე.

საკრებულოს თავმჯდომარე: ბ. ნარმანია

დანართი №1

სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საჯარო მოსამსახურეთა თანამდებობრივი სარგოს განაკვეთები

№	თანამდებობათა დასახელება	თანამდებობათა სარგოები (ლარებში)
1	საკრებულოს თავმჯდომარე	2360
2	საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე	1100
3	საკრებულოს კომისიის თავმჯდომარე, საკრებულოს ფრაქციის თავმჯდომარე	650
4	აპარატის უფროსი	700
5	სხვა უფროსი საჯარო თანამდებობის პირი (განყოფილების უფროსი)	450
უმცროსი საჯარო თანამდებობა		
6	მთავარი სპეციალისტი	420
7	წამყვანი სპეციალისტი	380
8	სპეციალისტი	320